



№1გ/816



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის შესახებ

4 მაისი 2016 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე, ბრალდებულ გ. ბ.-ს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილის 2016 წლის 28 აპრილის განჩინებაზე და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით.

აღნიშნულ სს საქმეზე გ. ბ.-ს 2016 წლის 29 მარტს წარედგინა ბრალდება სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2016 წლის 29 მარტის განჩინებით ბრალდებულ გ. ბ.-ს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა გირაო და წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2016 წლის 5 მაისს 15 საათზე.

2016 წლის 27 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა ბრალდებულმა გ. ბ.-მ და ითხოვა განჩინების გაცემა - საქართველოს შსს სსდ სასაზღვრო პოლიციიდან (თბილისი, ს. კანდელაკის ქ. №12), რომლებიც სს №XXXXXXXXXXXX საქმის გამოძიების ფარგლებში დაეხმარებიან დაცვის მხარეს ბრალდების უარსაყოფად - ინფორმაცია ა. შ.-ს ძე ფ.-ს ხელფასზე დანამატის დარიცხვისა და ზედმეტად გაცემული თანხების დაბრუნების ამსახველი დოკუმენტაცია. კერძოდ: ა) სასაზღვრო პოლიციაში მიღებისას, 2008 წლის აპრილში ა. ფ.-ს მიერ სასაზღვრო პოლიციაში (საფინანსო სამსახურში ან ბუღალტერიაში) წარმოდგენილი ფულადი ატესტატი ადრინდელი სამსახურიდან, თბილისის შს მთავარი სამმართველოდან, დამოწმებული ქსეროასლის სახით; ბ) ა. ფ.-ზე ხელფასის დარიცხვის საბუღალტრო უწყისები 2008 წლის 01 მაისიდან 2009 წლის 01



აპრილამდე პერიოდის, დამოწმებული ამონაწერის სახით; გ) დამადასტურებელი საბუთი იმისა, დაფარულია თუ არა ა. ფ.-ზე 2008 წლის 01 მაისიდან გაცემული ხელფასის დანამატის სახით ზედმეტად დარიცხული თანხა 367, 63 ლარის ოდენობით (მეტობა), დამოწმებული ქსეროასლის სახით; დ) ინფორმაცია იმის შესახებ, ა. ფ.-ზე 2008 წლის 05 მაისს სასაზღვრო პოლიციის საკადრო საკითხთა სამმართველოს კანცელარიიდან გაცემული №XXX ცნობა 2009 წელს რის საფუძველზე იქნა დაბრუნებული უკან საკადრო საკითხთა სამმართველოში, როდის (ზუსტი თარიღის მითითებით) და ვისი განკარგულებით? სს №XXXXXXXXXXXXX საქმის მასალებით დგინდება, რომ სასაზღვრო პოლიციის საკადრო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ლ. ბ.-ს 12.03.2009 წ. №XX/X/X-X-XXX წერილით, აღნიშნული ცნობა გადაეცა ინსპექციის სამმართველოს რეაგირებისათვის; ე) ა. ფ.-ს 2008 წლის აპრილში სასაზღვრო პოლიციაში მიღების პროცესში კადრების ინსპექტორის (სპეციალისტის) ბ. ბ.-ს მიერ შედგენილი ცნობა ა. ფ.-ს პირადი საქმის მიხედვით, რომელშიც ასახულია მთლიანი სამსახურის გავლის მონაცემები, დამოწმებული ქსეროასლის სახით. ბრალდებულის განმარტებით ზემოაღნიშნული ინფორმაცია ხელს შეუწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია მხოლოდ 23.03.2009 წ. შედგენილი ცნობა ა. ფ.-ს წელთა ნამსახურების შესახებ ბ. ბ.-სა და ე. ზ.-ს ხელმოწერით (და განმეორებით იმავე ინფორმაციის ამსახველი დუბლირებული ცნობები), რომელშიც მხოლოდ ფიქსირდება მისი სტაჟი და ობიექტურ პირს არ აძლევს შესაძლებლობას შედარებითი ანალიზის გზით დაადგინოს გაანგარიშების სისწორე (სიზუსტე ან უზუსტობა).

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილის 2016 წლის 28 აპრილის განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა საგამომიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულ გ. ბ.-ს მოთხოვნა დასახელებული დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ, ვინაიდან შუამდგომლობის მიხედვით არ ირკვევოდა არ დასტურდებოდა სად და ვისთან ინახებოდა ბრალდებულის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ასევე სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა არ იყო საკმარისად დასაბუთებული და არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები და არგუმენტაცია მოთხოვნილი საგამომიებო მოქმედებაზე ნებართვის გაცემის შესახებ.

აღნიშნული განჩინება, 2016 წლის 28 აპრილს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ბრალდებულმა გ. ბ.-მ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და მისი საჩივრის დაკმაყოფილებას.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლის განჩინება საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ იყო უკანონო და არასამართლიანი, საქართველოს სსსკ-ის მე-9 და 39-ე მუხლების მიხედვით ითხოვდა მტკიცებულებების მოპოვებას, რაც ხელს შეუწყობდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. იგი კონკრეტულად ითხოვდა ფულადი ატესტატის და ზოგადი საბუღალტრო დოკუმენტების გამოთხოვას. იგი შუამდგომლობით ითხოვდა დოკუმენტების გამოთხოვას და არა საგამომიებო მოქმედების ჩატარებას, რაზეც უკანონოდ და უსაფუძვლოდ ეთქვა უარი (იხ.საჩივარი).



თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა. ასევე წარმოდგენილი საჩივრიდან გამომდინარე ცნობილია ბრალდებულის მოსაზრებები და არგუმენტები. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა რა საჩივარი, გააანალიზა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული და საჩივარზე დართული მასალები და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საჩივრის ავტორის მითითებაზე, რომ იგი კანონმდებლობის შესაბამისად სსსკ-ის მე-9 და 39-ე მუხლების მიხედვით ითხოვდა გამოთხოვას და არა საგამოძიებო მოქმედებას ჩატარებას, სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი, სადაც საუბარია მხარის უფლებაზე დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, გამოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით, მიუთითებს, რომ ყველა პროცედურა უნდა ჩატარდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით. მე-9 მუხლში მითითებული ჩანაწერი არის ნორმა პრინციპი, ზოგადი მოქმედების ნორმა, მე-9 მუხლი მიეკუთვნება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების თავს, მე-9 მუხლის ნორმა მასში მითითებულ მხარის უფლების რეალიზაციაზე მიუთითებს დადგენილ წესზე, რაც ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს მტკიცებულება მოიპოვოს, გამოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით კონკრეტულ შემთხვევებში საგამოძიებო მოქმედებების - კერძოდ, ამოღების, ჩხრეკის, დათვალიერების და ა.შ. ჩატარების გზით და ცალკე გამოთხოვა მე-9 მუხლის მიხედვით არ ხდება, ანუ მე-9 მუხლი არის ზოგადი ნორმა პრინციპი, რომელიც შემდგომ ასახვას პოულობს შესაძლებლობის შემთხვევაში კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას. ასევე განიმარტება სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმა, სადაც შეძლებისდაგვარად დაკონკრეტებულია დაცვის მხარისათვის, რომ მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარების გზით სასამართლოს მეშვეობით. ანუ საპროცესო კოდექსი ცალსახად განმარტავს, რომ მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებით, და არა ზოგადად სსსკ-ის მე-9 და 39-ე მუხლების მიხედვით. სსსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული დადგენილი წესი მიუთითებს, სწორედ მხარის მიერ რომელიმე საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების მიხედვით მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობაზე და დამოუკიდებლად მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი არ წარმოადგენს გამოთხოვის კონკრეტულ წესს, რადგან როგორც აღინიშნა აღნიშნული ნაწილი მიუთითებს დადგენილ წესზე, რომ არა აღნიშნული მაშინ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი „ამ კოდექსით დადგენილ წესზე“ მინიშნებას არ გააკეთებდა.

შესაბამისად უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის მიერ სასამართლოს განჩინების ამ მოტივით უკანონოდ მიჩნევა, მისი მოთხოვნა გამოთხოვაზე მიუთითებს სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, როგორცაა ამოღება, თუმცა საჩივარში გ. ბ. არ ითხოვს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და კვლავ ითხოვს გამოთხოვას. პირველი ინსტანციის სასამართლომ განჩინებაში



საკმარისად განმარტა მისი მოთხოვნის საფუძვლები, რაც გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საგამომიებო კოლეგია მიუთითებს, რომ ბრალდებული გ. ბ. საჩივრით ითხოვს გამოთხოვას, თუმცა იგი შესაძლებელია განხილული იქნას, როგორც ამოღება. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნას თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის. შესაბამისად არ არის შესრულებული ამ მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნა, რის გამოც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გაიზიაროს ბრალდებულის საჩივრის მოთხოვნა.

ამდენად, ამოღების ჩასატარებლად, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან.

ბრალდებულმა გ. ბ.-მ საჩივარში დამატებით ვერ განმარტა და ვერ დაასაბუთა საგამომიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა, პირველ ინსტანციაშიც მოსმენილი და განხილული იქნა მისი პოზიცია, თუმცა აღნიშნულზე იმსჯელა მოსამართლემ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ამჟამად არ არის წარმოდგენილი რაიმე ისეთი გარემოება, რაც შესაძლებელს გახდიდა ბრალდებულის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიამ სწორად შეაფასა შუამდგომლობა, მასალები და მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება, შესაბამისად არ არსებობს ბრალდებულ გ. ბ.-ს საჩივარის დაკმაყოფილების და განჩინების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე, 112-ე, 207-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ბრალდებულ გ. ბ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;



2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის განჩინება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ დარჩეს ძალაში;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი გოგინაშვილი